

ელექტრონული არხების საშუალებით მიღებული
კრედიტის / ოვერდრაფტის / საგანგებო ავანსის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

შინაარსი

1. ტერმინთა განმარტებები.....	3
2. განცხადებები და გარანტიები	4
3. კრედიტით/საგანგებო ავანსით/ოვერდრაფტით სარგებლობის წესი.....	4
3.1 კრედიტის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავანსის გაცემა/დამტკიცება.....	4
3.2 კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელუბის დაფარვის წესი	4
3.3 ოვერდრაფტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელუბის დაფარვის წესი.....	4
3.4 საგანგებო ავანსის და მასთან დაკავშირებული გადასახდელუბის დაფარვის წესი.....	5
3.5 მონიტორინგი და ინფორმაციის წარდგენის წესი.....	5
4. კრედიტის, ოვერდრაფტის პროლონგირება/რეფინანსირება.....	5
4.1. კრედიტის პროლონგირება.....	5
4.2. ოვერდრაფტის პროლონგირება.....	5
4.3. არსებული კრედიტის ახალი კრედიტით გადაფარვა (რეფინანსირება).....	5
5. პროცენტის დარიცხვის და შეცვლის წესი.....	6
6. უზრუნველყოფის საშუალებები.....	6
7. მხარეთა პასუხისმგებლობა	6
8. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა.....	6
9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა	7
10. ზანკში პრეტენზიის წადგენის წესი.....	7
11. კომუნიკაცია.....	7
12. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია	7
13. დასკვნითი დებულებები	8
#1 დანართი – მომსახურების საკომისიოები.....	10

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. ანგარიში - ბანკში არსებული მსესხებლის საბანკო ანგარიშ(ებ);

1.1.2. ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/კ 203828304), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;

1.1.3. ბანკომატი - ბანკის თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც მსესხებელს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ბანკის საბანკო ბარათის მფლობელს შეუძლია ხელშეკრულებით განსაზღვრული საგანგებო ავანსის ან/და ოვერდრაფტის გააქტიურება, ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა ან/და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა;

1.1.4. განცხადებები და გარანტიები - სტანდარტული პირობების მე-2 მუხლში მოცემული მსესხებლის განცხადებები და გარანტიები;

1.1.5. დანართი - ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტები (მათ შორის და არამარტო ხელშეკრულების #1 დანართი - მომსახურების საკომისიო), რომელიც აზუსტებს, ხელის ან/და წყვეტს ხელშეკრულებას ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.1.6. ელექტრონული არხი - ბანკომატი, მობილური ტელეფონი, USSD მენიუ ან/და სხვა ელექტრონული ხელსაწყო/პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც მსესხებელს შესაძლებლობა ეძლევა ისარგებლოს კრედიტით/ოვერდრაფტით/საგანგებო ავანსით;

1.1.7. ელექტრონული განაცხადი - ელექტრონული, ობიექტური ან სხვა მსგავსი საშუალებების (მათ შორის ბანკომატის, მობილური ტელეფონის, USSD მენიუს და სხვა) გამოყენებით შექმნილი და მსესხებლისათვის მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია, რომელსაც ეთანხმება მსესხებელი და ადასტურებს მის (მსესხებლის) ნებას ხელშეკრულების დადებისთან დაკავშირებით და რომელიც ითვლება მსესხებლის მიერ ბატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ;

1.1.8. თანხის გადახარჯვა ან ოვერლიმიტი - (ა) ოვერდრაფტით სარგებლობისას, ანგარიშზე (მათ შორის საბარათე ანგარიშზე) ათვისებული საკრედიტო ნაშთი, რომელიც გადააჭარბებს ხელშეკრულებით დადგენილ ოვერდრაფტის საკრედიტო ნაშთის ლიმიტს; (ბ) ბანკის მიერ ოვერდრაფტის ცალმხრივად შექცევისას, ანგარიშზე (მათ შორის საბარათე ანგარიშზე) ათვისებული საკრედიტო ნაშთი, რომელიც გადააჭარბებს ოვერდრაფტის შექცევის მომენტისათვის დაფიქსირებულ საკრედიტო ნაშთის მოცულობას, ხოლო (გ) ოვერდრაფტის შექცევის შემდგომ საკრედიტო დავალიანების შემცირებისას/დაფარვისას, ათვისებული საკრედიტო ნაშთი, რომელიც გადააჭარბებს შემცირების შედეგად დაფიქსირებულ უმცირეს საკრედიტო ნაშთის მოცულობას;

1.1.9. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემის მოქმედი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.10. კონფიდენციალური ინფორმაცია - თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების დადების ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია მხარის პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, მხარის მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.1.11. კრედიტი ან სწრაფი სამომხმარებლო კრედიტი „ლიბერთი ექსპრესი“ ან ლიბერთი ექსპრესი - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ბანკის მიერ მსესხებლისათვის გასაცემი თანხის მოცულობა;

1.1.12. კრედიტთან/ოვერდრაფტთან/საგანგებო ავანსთან დაკავშირებული გადასახდელი/მასთან დაკავშირებული გადასახდელი - ხელშეკრულებით განსაზღვრული კრედიტის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავანსის მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობისას), კრედიტის, ოვერდრაფტის, საგანგებო ავანსის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტებლო (ასეთის არსებობისას), კრედიტის, ოვერდრაფტის, საგანგებო ავანსის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტებლო (ასეთის არსებობისას), კრედიტის ან/და ოვერდრაფტის პროლონგირების საკომისიო (ასეთის არსებობისას), კრედიტის დეფოლტის ერთჯერადი პირგასამტებლო (ასეთის არსებობისას) ან/და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ხარჯი (მათ შორის და არამარტო სასამართლო დავასთან,

საასრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა);

1.1.13. კრედიტის დეფოლტი - კრედიტის სტატუსი, რომელიც წარმოიშობა კრედიტის უწყვეტ ვადაგადაცილებაში ყოფნის მე-60 კალენდარულ დღეს. კრედიტის დეფოლტის დადგომისას ბანკი ახორციელებს დეფოლტის ერთჯერადი პირგასამტებლოს (ასეთის არსებობისას) დარიცხვას და წყვეტს კრედიტის თანხაზე სხვა ყველანაირი საკომისიოს, პროცენტის, პირგასამტებლოს დარიცხვას;

1.1.14. კრედიტის მომსახურე ანგარიში - ბანკის მიერ განსაზღვრული ანგარიში, რომელზეც განთავსებული ფულადი სახსრებით ხორციელდება ათვისებული კრედიტის თანხების ან/და კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელის გადახდა;

1.1.15. კრედიტის თანხა - ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებლის მიერ კრედიტის სახით ათვისებული/მიღებული თანხები;

1.1.16. მზამე პირ(ები) - ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;

1.1.17. მობილური ტელეფონი - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი;

1.1.18. მსესხებელი - პირი, რომელიც ელექტრონული არხის საშუალებით ელექტრონული განაცხადის საფუძველზე ეთანხმება წინამდებარე სტანდარტულ პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;

1.1.19. მზარე/მზარეები - ბანკი ან/და მსესხებელი კონტექსტის შესაბამისად;

1.1.20. ოვერდრაფტი - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მსესხებლის ანგარიშზე (მათ შორის საბარათე ანგარიშზე) ხელმისაწვდომი თანხა - საკრედიტო ნაშთი, რომლითაც არაერთჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს მსესხებელი და რომელიც, თუ ბანკსა და მსესხებელს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება მსესხებლის ანგარიშზე თანხის ასახვისას;

1.1.21. პირგასამტებლო (ჯარიმა) - ფულადი თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც შესაბამის მხარეს წარმოეგება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად. პირგასამტებლოს მოცულობა განსაზღვრულია ხელშეკრულების #1 დანართით;

1.1.22. პირი/პირები - ფიზიკური პირ(ები), იურიდიული პირ(ები) (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ები)), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ები) ან/და კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არაორგანიზაციული წარმომადგენელი;

1.1.23. პროცენტი - ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის მოცულობა, რომელიც იანგარიშება მსესხებლის მიერ კრედიტის, ხოლო საგანგებო ავანსის ან/და ოვერდრაფტის შემთხვევაში - ოვერდრაფტის, საგანგებო ავანსის ძირითადი თანხით (ოვერლიმიტის, საგანგებო ავანსის თანხით) სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით. თუ ბანკი ვადადედ ცალმხრივად შეწყვეტს ამ ხელშეკრულებას, პროცენტის დარიცხვა გრძელდება და გადახდის ექვემდებარება იძულებითი ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით. პროცენტი განსაზღვრულია ხელშეკრულების #1 დანართით;

1.1.24. საგანგებო ავანსი - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მსესხებლის ანგარიშზე (მათ შორის საბარათე ანგარიშზე) ხელმისაწვდომი თანხა - საკრედიტო ნაშთი, რომლითაც არაერთჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს მსესხებელი და რომელიც, თუ ბანკსა და მსესხებელს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება მსესხებლის ანგარიშზე თანხის ასახვისას;

1.1.25. საკომისიო - ხელშეკრულების საფუძველზე, კრედიტით, ოვერდრაფტით ან/და საგანგებო ავანსით სარგებლობისათვის ბანკის მიერ მსესხებლისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განსაზღვრულია ხელშეკრულების #1 დანართის შესაბამისად;

1.1.26. საბანკო დღე - ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო დღის (ბანკის მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.27. სტანდარტული პირობები - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი ელექტრონული არხების საშუალებით მიღებული კრედიტის/საგანგებო ავანსის/ოვერდრაფტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: <http://www.libertybank.ge>;

1.1.28. ხელშეკრულება - მსესხებლის მიერ ელექტრონული არხის საშუალებით ბანკისათვის წარდგენილი ელექტრონული განაცხადის, სტანდარტული პირობების ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ის, დანართ(ებ)ის ერთობლიობა,

რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.28. **USSD მენიუ** - ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც მსესხებელი უფლებამოსილია მობილური ტელეფონით დააგენერიროს ელექტრონული განაცხადი და ისარგებლოს კრედიტით, საგანგებო ავანსით ან/და ოვერდრაფტით.

2. განცხადებები და გარანტიები

2.1. მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებმფლობელს და ქმედუნარიან პირს, რომელსაც ხელშეკრულების დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. მის მიერ ხელშეკრულების დადება ან/და შესრულება არ მოიცავს წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან (მათ შორის მსესხებლის იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე შეცვლების უფლებას;

2.1.3. მსესხებელი არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.4. წარმოადგენს გადახდისუნარიან პირს, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის (გაუკრებლობის ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.5. ხელშეკრულების დადების მიზნით, ზანკისათვის წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.6. მსესხებელი არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას;

2.1.7. ხელშეკრულების დადებისას ზანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, მსესხებლის ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, ზანკს არ უსარგებლავს მსესხებლის მიმე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად ზანკის საბაზრო ძალაუფლება; ელექტრონული არხის საშუალებით სრულად გაეცნო და მისთვის მისაღებია ელექტრონული განაცხადი და კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები;

2.1.8. სრულად გაეცნო და მისთვის მისაღებია ხელშეკრულების პირობები (მათ შორის ერთმნიშვნელოვანდ პროცენტის, პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობისას) და ხელშეკრულების #1 დანართით განსაზღვრული საკომისიოს (ასეთის არსებობისას) მოცულობა და ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო არ არის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო;

2.1.9. მსესხებელი ზანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ აღებს რაიმე სახის სხვა დამატებითი ფინანსური ვალდებულებ(ებ)ას.

2.2. მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ზანკს ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულებაში მითითებული განცხადებებისა და გარანტიების ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა, ხოლო ზანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ზანკის მიერვე განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია/ინფორმაცია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

2.3. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებას დებენ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით და თვლიან მათ ხელშეკრულების პირობად. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული განცხადებების და გარანტიების დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს ზანკის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე (მათ შორის კრედიტის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავანსის გაცემაზე) ცალმხრივი უარის სათქმელად ან/და ხელშეკრულების ცალხრივად შესაწყვეტად.

3. კრედიტით/საგანგებო ავანსით/ოვერდრაფტით სარგებლობის წესი

3.1. **კრედიტის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავანსის გაცემა/დამტკიცება**

3.1.1. მსესხებელი, ელექტრონული არხის საშუალებით ელექტრონული განაცხადის ზანკისათვის წარდგენისას: (ა) ადასტურებს, რომ გაცნობილია სტანდარტულ პირობებს, (ბ) ეთანხმება ზანკის მიერ ელექტრონული არხის საშუალებით წინასწარ შეთავაზებულ კრედიტის, ოვერდრაფტის ან/და საგანგებო ავანსის პირობებს, მათ შორის ერთმნიშვნელოვანდ ეთანხმება და სურს

ხელშეკრულების დადება, (გ) მისთვის მისაღებია ელექტრონული არხის საშუალებით შეთავაზებული კრედიტის, საგანგებო ავანსის ან/და ოვერდრაფტის ლიმიტი/მოცულობა, პროცენტი, მოქმედების ვადა, პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობისას) და საკომისიოს მოცულობა (ასეთის არსებობისას);

3.1.2. მსესხებელი აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ ხელშეკრულების შესაბამისად კრედიტის, საგანგებო ავანსის ან/და ოვერდრაფტის გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ ზანკის ნებაზე. ზანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს კრედიტის, საგანგებო ავანსის ან/და ოვერდრაფტის გაცემის საკითხს და დამოუკიდებლად წყვეტს მას. ხელშეკრულება არ ავალდებულებს ზანკს ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს კრედიტი, საგანგებო ავანსი ან/და ოვერდრაფტი, ის მხოლოდ განსაზღვრავს კრედიტის, საგანგებო ავანსის ან/და ოვერდრაფტის მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს კრედიტის, საგანგებო ავანსის ან/და ოვერდრაფტის გაცემის საფუძველზე ზანკსა და მსესხებელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

3.1.3. მსესხებლის ანგარიშზე საგანგებო ავანსის რეგისტრაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის მიერ საგანგებო ავანსის გააქტიურებიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღის ბოლომდე მოხდა საგანგებო ავანსის ფარგლებში ბარათზე ხელმისაწვდომი ნაშთიდან ნებისმიერი ოდენობის თანხით სარგებლობა.

3.1.4. თუ განხორციელდა საგანგებო ავანსის რეგისტრაცია, მაგრამ არ განხორციელდა საგანგებო ავანსის მთლიანი ლიმიტით სარგებლობა, აუთვისებელი თანხა აქტიური იქნება მისი (საგანგებო ავანსის) გააქტიურებიდან სამუდამო პერიოდის განმავლობაში (განსაზღვრულია ხელშეკრულების #1 დანართით). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საგანგებო ავანსის აუთვისებელი თანხა უქმდება.

3.2. **კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდლების დაფარვის წესი**

3.2.1. მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებით (მათ შორის ელექტრონული განაცხადით) განსაზღვრულ ვადაში და პერიოდულად, ათვისებული კრედიტის ან/და მასთან დაკავშირებული გადასახდლების დაფარვის მიზნით, კრედიტის მომსახურე ანგარიშზე განათავსოს საკმარის თანხა, რომელსაც ზანკი დაბლოკავს, უაქცეპტოდ ჩამოჭრის და მიმართავს ზანკის წინაშე არსებული მსესხებლის დავალიანების დასაფარად/შესამცირებლად.

3.2.2. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის ან/და მასთან დაკავშირებული გადასახდლების გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას თავისი დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ზანკის სრულ უფლებამოსილებაზე ზანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:

3.2.2.1. განახორციელოს ზანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

3.2.2.2. მსესხებლის ნებისმიერი სახის ზანკში არსებული ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოჭეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვანდ კრედიტის ან/და მასთან დაკავშირებული გადასახდლების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად; ან/და

3.2.2.3. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა გალუქვამია, ზანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ზანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოჭეროს მსესხებლის ანგარიშიდან.

3.2.3. ნებისმიერი გადახდილი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხები გადახდილია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. თუ ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის დღე წარმოადგენს არასაბანკო დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო საბანკო დღეს.

3.2.4. კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდლების დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში იფარება კრედიტის დეფოლტის ერთჯერადი პირგასამტეხლო (ასეთის არსებობისას); შემდეგ კრედიტის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო (ასეთის არსებობისას); კრედიტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო (ასეთის არსებობისას); კრედიტის პროლონგირების საკომისიო (ასეთის არსებობისას); კრედიტის მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობისას) და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ზანკის შეხედულებით ნებისმიერ დროს.

ოვერდრაფტის და მასთან დაკავშირებული გადასახდლების დაფარვის წესი

3.3.1. მსესხებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოვერდრაფტის თითოეულ ჯერზე სრულად ან ნაწილობრივ ათვისებიდან 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავალიანების (მათ შორის ოვერდრაფტის ძირითადი თანხის, ოვერლიმიტის (ასეთის არსებობისას), პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობისას), საკომისიოს (ასეთის არსებობისას), დარიცხული პროცენტის) სრულად დაფარვა ისე, რომ ანგარიშის ბალანსი, რომელზეც დაშვებულია

ოვერდრაფტი იყოს ნულის ტოლი ან მეტი. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში **ბანკს** უფლება აქვს ცალმხრივად შეაჩეროს **მსესხებლისათვის ოვერდრაფტის** მოქმედება;

3.3.2. თუ, **მსესხებელი** სრულად შეასრულებს **სტანდარტული პირობების** 3.3.1 ქვეპუნქტში აღნიშნული პირობის დარღვევის შედეგად **ბანკის** წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებს და გადაიხდის **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურების **საკომისიოს** (ასეთის არსებობისას), **მსესხებლის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ხელახლა გააქტიუროს **მსესხებელს ოვერდრაფტი**;

3.3.3. **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურების **საკომისიო** (ასეთის არსებობისას) ექვემდებარება გადახდას **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურების თარიღისათვის;

3.3.4. **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ შემთხვევებში **თანხის გადახარჯვის/ოვერლიმიტის** წარმოშობისას, **ოვერლიმიტის** თანხას დაერიცხება **ბანკის** მიერ განსაზღვრული **პროცენტი** და **ოვერლიმიტის** დაფარვა განხორციელდება **ხელშეკრულებით ოვერდრაფტისათვის** განსაზღვრული წესით.

3.3.5. **ოვერდრაფტის** და **პროცენტის** დაფარვა განხორციელდება **ხელშეკრულებით** დადგენილ ვადაში შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში იფარება **ოვერლიმიტის პირგასამტებლო** (ასეთის არსებობისას), **ოვერლიმიტზე** დარიცხული **პროცენტი** და ბოლოს - **ოვერლიმიტის** ძირითადი თანხა, შემდეგ **ოვერდრაფტის საკომისიო** (ასეთის არსებობისას), **ოვერდრაფტზე** დარიცხული **პროცენტი** და ბოლოს - **ოვერდრაფტის** ძირითადი თანხა, აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** შეხედულებით;

3.3.6. **ოვერდრაფტის** დამტკიცების **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაიხდება **ოვერდრაფტის** თანხიდან წინასწარ, **ოვერდრაფტის** გაცემისას;

3.4 საგანგებო ავანსის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის წესი

3.4.1. **საგანგებო ავანსის** ერთჯერადი გააქტიურების საკომისიო (ასეთის არსებობისას) გადაიხდება **მსესხებლის ანგარიშიდან** წინასწარ, **საგანგებო ავანსის** დარეგისტრირებისას;

3.4.2. **საგანგებო ავანსის** გააქტიურებიდან განსაზღვრული დღეების (დღეების რაოდენობა დგინდება ინდივიდუალურად ყოველი **მსესხებლისათვის**) განმავლობაში **მსესხებლის** მიერ **საგანგებო ავანსის** ათვისებულ თანხაზე მოქმედებს სამედავათო პერიოდი და მას (ათვისებულ თანხას) აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ ერიცხება **პროცენტი**.

3.4.3. **მსესხებლის ანგარიშზე** ჩარიცხული ნებისმიერი თანხიდან პირველ რიგში დაიფარება **საგანგებო ავანსის პროცენტი** (ასეთის არსებობისას), დავალიანება **საგანგებო ავანსის** გააქტიურების ერთჯერადი **საკომისიოს** მიხედვით (ასეთის არსებობისას) და ბოლოს **საგანგებო ავანსის** ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** შეხედულებით;

3.4.4. **საგანგებო ავანსის** ძირითადი თანხა, **საგანგებო ავანსის** გააქტიურების ერთჯერადი **საკომისიო** და დარიცხული **პროცენტი** (ასეთის არსებობისას) გადახდას ექვემდებარება იძულებითი ან **მსესხებლის** მიერ ნებაყოფლობითი წესით აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით, არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით.

3.5 მონიტორინგი და ინფორმაციის წარდგენის წესი

3.5.1. **მსესხებელი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილ პირობების (მათ შორის ვადა, ფორმა და ა.შ.) შესაბამისად სრულად წარუდგენოს **ბანკს** მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

3.5.2. **ბანკი** უფლებამოსილია უაქცეპტოდ (**მსესხებლის** თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს **მსესხებელი** გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს **ბანკის** სრულ უფლებამოსილებას, მიავიროს მისი წარმომადგენელი **მსესხებელთან** და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე მიიღოს **ბანკის** კუთვნილი თანხები ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. ასეთ შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს **ბანკის** წარმომადგენლის დაშვება უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაწირვებად ან/და **მსესხებლის** ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.

4. კრედიტის, ოვერდრაფტის პროლონგირება/რეფინანსირება

4.1. კრედიტის პროლონგირება

4.1.1. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **კრედიტის** პროლონგირებაზე თანხმობის განცხადება დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **მსესხებლის** თხოვნას და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **კრედიტის** პროლონგირება, ის მხოლოდ განსაზღვრავს **კრედიტის** პროლონგირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **კრედიტის** პროლონგირების საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

4.1.2. **კრედიტის** მოქმედების ვადის ამოწურვის დღეს, თუ შესრულებულია **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა პირობა, **მსესხებლის** მიმართვის საფუძველზე და **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში (მათ შორის მატერიალური ფორმით გაფორმებული შეთანხმების ან **ელექტრონული განაცხადის** გათვალისწინებით), შესაძლებელია გაგრძელდეს **კრედიტის** მოქმედების ვადა. **კრედიტის** პროლონგირებისას **ხელშეკრულების** პირობები რჩება უცვლელი.

4.1.3. **კრედიტის** მოქმედების ვადის ბოლოს დასაშვებია **კრედიტის** პროლონგირება იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მიერ სრულად არის გადახდილი **კრედიტის** მომსახურების **საკომისიო**, მასთან დაკავშირებული გადასახდელები (ასეთების არსებობისას) და **ბანკის** მხრიდან ადგილი ექნება თანხმობას **კრედიტის** მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე;

4.1.4. **კრედიტის** პროლონგირებების დასაშვებია რაოდენობის (განსაზღვრულია **ხელშეკრულების #1 დანართით**) ამოწურვის შემდეგ **მსესხებელი** ვალდებულია სრულად დაფაროს **კრედიტი**, **კრედიტის** მომსახურების **საკომისიო** და მასთან დაკავშირებული გადასახდელები (ასეთების არსებობისას);

4.1.5. **კრედიტის** პროლონგირების დროს, **მსესხებელი** ვალდებულია სრულად გადაიხადოს **კრედიტის** პროლონგირების **საკომისიო** (ასეთის არსებობისას), რის შემდეგაც **კრედიტის** მოქმედების ვადა გრძელდება **ხელშეკრულების** თავდაპირველი პერიოდით.

4.2. ოვერდრაფტის პროლონგირება

4.2.1. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ოვერდრაფტის** პროლონგირებაზე თანხმობის განცხადება დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **მსესხებლის** თხოვნას და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **ოვერდრაფტის** პროლონგირება, ის მხოლოდ განსაზღვრავს **ოვერდრაფტის** პროლონგირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ოვერდრაფტის** პროლონგირების საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

4.2.2. **ოვერდრაფტის** პროლონგირება განხორციელდება ავტომატურად, თუ **მსესხებელი ოვერდრაფტის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წინასწარ არ აცნობებს **ბანკს** **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ.

4.3. არსებული კრედიტის ახალი კრედიტით გადაფარვა (რეფინანსირება)

4.3.1. **კრედიტის** მოქმედების ვადის განმავლობაში, ისევე როგორც **კრედიტის** ვადის ბოლოს ან **კრედიტის** ვადის გასვლის შემდეგ დასაშვებია **კრედიტის** გადაფარვა (რეფინანსირება) ახალი, უფრო დიდი მოცულობის კრედიტით იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მიერ სრულად არის გადახდილი **კრედიტის** მომსახურების **საკომისიო** და **კრედიტთან** დაკავშირებული გადასახდელები (ასეთების არსებობისას);

4.3.2. **კრედიტის** გადაფარვის (რეფინანსირების) დროს **მსესხებელი** ვალდებულია სრულად გადაუხადოს **ბანკს** **კრედიტის** მომსახურების **საკომისიო** იმ თვის ჩათვლით, რომელ თვეშიც ხორციელდება **კრედიტის** გადაფარვა. ამასთან, **მსესხებლის** მიერ გადასახდელი **კრედიტის** მომსახურების **საკომისიოს** გაანგარიშების დროს **ბანკი** ისარგებლებს სრული 30 დღიანი თვის პრინციპით (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად (მაგალითები): თუ **კრედიტის** თავდაპირველი ვადა იყო 90 დღე, ხოლო **კრედიტის** რეფინანსირება ხდება 23 დღეს, **მსესხებელი** ვალდებულია გადაუხადოს **ბანკს** 30 დღის მომსახურების **საკომისიო**. თუ **კრედიტის** თავდაპირველი ვადა იყო 90 დღე, ხოლო **კრედიტის** რეფინანსირება ხდება 31 დღეს, **მსესხებელი** ვალდებულია გადაუხადოს **ბანკს** 60 დღის მომსახურების **საკომისიო**. თუ **კრედიტის** თავდაპირველი ვადა იყო 90 დღე, ხოლო **კრედიტის** რეფინანსირება ხდება 75 დღეს, **მსესხებელი** ვალდებულია გადაუხადოს **ბანკს** 90 დღის (სრული) მომსახურების **საკომისიო**);

4.3.3. **კრედიტის** გადაფარვის დროს **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის ფორმდება ახალი საბანკო კრედიტის ხელშეკრულება;

4.3.4. **კრედიტის** გადაფარვის დროს, **მსესხებელი** ვალდებულია სრულად გადაიხადოს არსებული **კრედიტის** ახალი კრედიტით გადაფარვის (რეფინანსირების) **საკომისიო** **ხელშეკრულების #1 დანართით** განსაზღვრული ოდენობით.

4.3.5. **ბანკს** აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ არ დაეთანხმოს **მსესხებლის კრედიტის** გადაფარვას (რეფინანსირებას), - ასეთ შემთხვევაში, **ბანკი** არ არის ვალდებული განუმარტოს **მსესხებელს** თავისი გადაწყვეტილების მიზეზ(ებ)ი.

4.4. **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებლისაგან** მიღებული **ელექტრონული განაცხადის** საფუძველზე, განახორციელოს **მხარეთა** შორის მატერიალური ფორმით ხელმოწერილი ნებისმიერი კრედიტის/ოვერდრაფტის **ხელშეკრულების** პროლონგირება ან/და რეფინანსირება. ასეთ შემთხვევაში, წინამდებარე **სტანდარტული პირობები** და **ელექტრონული განაცხადი** ჩაითვლება **მხარეთა** შორის გაფორმებული მატერიალური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და იმოქმედებს მასთან ერთად, ხოლო მატერიალური ხელშეკრულების მუხლებს, პუნქტებს, ქვეპუნქტებსა და წინამდებარე **სტანდარტული პირობების** მუხლებს,

პუნქტებს ან/და ქვეპუნქტებს შორის წინააღმდეგობისა უპირატესობა მიენიჭება სტანდარტულ პირობებს.

5. პროცენტის დარიცხვის და შევცლის წესი

5.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **მსესხებლისათვის** წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**მსესხებლის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შევცალოს **ხელშეკრულებით** შეთანხმებული **პროცენტის** მოცულობა; ახალი საპროცენტო განაკვეთი დარიცხება ცვლილებ(ებ)ის ამოქმედების დღიდან.

5.2. თუ **მსესხებელი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შევცილილ საპროცენტო განაკვეთს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს** და სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება **სტანდარტული პირობებით** დადგენილი წესის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **მსესხებელი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

5.3. **პროცენტის** განაკვეთის **მსესხებლის** სასარგებლოდ შევცლა ან/და **ბანკის** ინიციატივით შემცირებული **პროცენტის** გავრცელება თავდაპირველად არსებული განაკვეთის მოცულობის ფარგლებში არ საჭიროებს **მსესხებლის** დამატებით აქცეპტს ან/და **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** დამატებითი შეტყობინების გაგზავნას.

5.4. **ბანკის** მიერ შევცილილი **პროცენტის** დარიცხვა დაიწყება ცვლილებ(ებ)ის ამოქმედების დღიდან.

5.5. საშეღვათო პერიოდის გასვლის შემდეგ **საგანგებო ავანსის** ნებისმიერი აუთვისებელი თანხა უქმდება, ხოლო **საგანგებო ავანსის** ათვისებული თანხის ფარგლებში **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებლის** მიერ ათვისებულ **საგანგებო ავანსის** თანხას დაარიცხოს **პროცენტი**.

6. უზრუნველყოფის საშუალებები

6.1. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოთხოვოს **მსესხებელს** **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებ(ებ)ის უზრუნველყოფა. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია:

6.1.1. **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში, **ბანკს** დასატვირთად გადასცეს ქონება ან წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის, რომელიმე სხვა **ბანკისათვის** მისაღები საშუალება;

6.1.2. უზრუნველყოფის საშუალებებზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში და პირობებით, გააფორმოს შესაბამისი უზრუნველყოფის ხელშეკრულებები.

6.2. თუ **ხელშეკრულებით** ან/და მის საფუძველზე გაფორმებული უზრუნველყოფის ხელშეკრულებით განსაზღვრული **მსესხებლის** რომელიმე ვალდებულება თავისი მინარსით, საჭიროებს **კანონმდებლობით** განსაზღვრულ რეესტრში რეგისტრაციას, **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას **ხელშეკრულების** ან/და შესაბამისი უზრუნველყოფის ხელშეკრულების ხელმოწერის/დადების თარიღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულებ(ებ)ის რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში. ამასთან, **მსესხებლის** წინამდებარე ვალდებულება არ გამორიცხავს, ზემოაღნიშნულ (15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე) ვადაში **ბანკის** უფლებას ან ამ ვადის გასვლის შემდეგ **მსესხებლის** და **ბანკის** უფლებებს ერთობლივად ან ცალ-ცალკე უზრუნველყონ **მსესხებლის** ზემოხსენებული რომელიმე ვალდებულების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში.

6.3. **მსესხებლის** მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია:

6.3.1. მოითხოვოს **კრედიტის თანხის, საგანგებო ავანსის** ან/და **ოვერდრაფტის/ოვერლიმიტის** (მათ შორის **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი დავალიანების - **პირგასამტებლოს, საკომისიოს, დარიცხული პროცენტის**) ვადამდელი დაფარვა; ან/და

6.3.2. უარი განაცხადოს **კრედიტის თანხის, საგანგებო ავანსის** ან/და **ოვერდრაფტის** დაშვებაზე/გაყვამაზე და შეწყვიტოს/გააუქმოს **ხელშეკრულება** - თუ **ოვერდრაფტი** ან მისი რომელიმე ნაწილი არ არის დაშვებული (გააქტიურებული).

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის გადაუხადოს **ბანკს**:

7.1.1. ერთჯერადი **პირგასამტებლო** (ასეთის არსებობისას) **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის, მათ შორის ვადაგადაცილებამი გასვლის ყოველ ფაქტზე;

7.1.2. ყოველდღიური **პირგასამტებლო** თითოეული დარღვეული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი

ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) **ხელშეკრულების #1 დანართით** განსაზღვრული ოდენობით.

7.2. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

7.3. მიუხედავად **სტანდარტული პირობების** 6.1. პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

7.3.1. განახორციელოს **ბანკში მსესხებლის ანგარიშზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება;

7.3.2. **მსესხებლის** ნებისმიერი სახის **ბანკში** არსებული **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის/საგანგებო ავანსის/ოვერდრაფტის/ოვერლიმიტის** თანხა, **პროცენტი, საკომისიო, პირგასამტებლო**, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

7.3.3. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშიდან**;

7.3.4. **ბანკის** წინაშე არსებული **მსესხებლის** ვალდებულებები გაქვითოს **მსესხებლის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში;

7.3.5. **ოვერლიმიტის** ხარჯზე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **საკომისიო** (ასეთის არსებობისას), **პირგასამტებლო** (ასეთის არსებობისას), ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები (ასეთის არსებობისას) და სხვა) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად.

7.4. ზიანის/ზარალის (ასეთის არსებობისას) ანაზღაურება, მათ შორის **საკომისიოს** (ასეთის არსებობისას) ან/და **პირგასამტებლოს** (ასეთის არსებობისას) გადახდა არ ათავისუფლებს **მსესხებელს** **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (მათ შორის **კრედიტის/საგანგებო ავანსის/ოვერდრაფტის** დაფარვისაგან), ამასთან **პირგასამტებლოს** (ასეთის არსებობისას) დარიცხვა გაგრძელდება **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდგომაც, **მსესხებლის** მიერ არსებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

7.5. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახელმწიფო, ადმინისტრაციული ან/და სხვა უფლებამოსილი პირების მიერ **ანგარიშზე** დაწესებულ შეზღუდვებზე (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად იწკასო, ყადაღა და სხვა) რის შედეგადაც **მსესხებელი** ვერ უზრუნველყოფს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებას. ამასთან, **მსესხებელი** ადასტურებს, რომ აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული **ბანკის** უფლებების შეზღუდვის ან/და **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს.

8. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

8.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** ელექტრონული განაცხადის საფუძველზე შესაბამისი მოთხოვნის წარდგინის და **ბანკის** მიერ აღნიშნული ელექტრონული განაცხადის ნებისმიერი ფორმით დათანხმების/წარმოებაში მიღების მომენტიდან და მოქმედებს ელექტრონულ განაცხადში მითითებული ვადით. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის კრედიტით, საგანგებო ავანსით ან/და ოვერდრაფტით** სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა წარმოადგენს **მსესხებლის ელექტრონულ განაცხადზე** **ბანკის** თანხმობის დადასტურებას.

8.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

8.2.1. **ბანკის** მიერ, თუ **მსესხებელი** სრულად და ჯეროვნად არ შესრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებებს, **განცხადებებს** და **გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

8.2.2. **ბანკის** მიერ, იმ შემთხვევაში, თუ:
8.2.2.1. ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო **მსესხებელს** ჩამოართმევს ქონებას ან/და სხვა აქტივებს ან/და მის მნიშვნელოვან ნაწილს ან/და მოახდენს მის ნაციონალიზაციას ან/და ექსპროპრიაციას;

8.2.2.2. **მსესხებლის** ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმართ სახელმწიფო ან/და მსგავსი უფლებამოსილების

მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან/და გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომელიც არსებითად გაართულებს ან/და შეუძლებელს გახდის **მსესხებლის** ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ საკუთარი ქონების განკარგვას;

8.2.2.3. თუ სასამართლოს, არბიტრაჟის, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ან სახელმწიფოს ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და სხვა ფორმით მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე ემუქრება საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.2.2.4. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდება ან/და **ბანკი** დაადგენს, რომ არსებული საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის **მსესხებლის** გადახდისუნარიანობას;

8.2.2.5. **ბანკი** დაადგენს, რომ **მსესხებლის** ფულადი სახსრების ბრუნვის მდგომარეობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მისი ფინანსური პროფილის სიჯანსაღეს, **მსესხებლის** საქმიანობას და ექვექვემ აყენებს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

8.2.2.6. **მსესხებელი** შეწყვეტს ან ნებისმიერი სხვა მიზეზით **მსესხებელს** შეუწყდება თავის დამსაქმებელთან არსებული შრომითი ურთიერთობა, რომელიც გახდა წინამდებარე **ხელშეკრულების** გაფორმების საფუძველი.

8.2.3. **ბანკის/საგანგებო ავანსის/ოვერდრაფტის** მოქმედების ვადის ამოწურვისას, იმ შემთხვევაში თუ **მსესხებელს ბანკის** წინაშე არ გააჩნია რაიმე სახის შესრულებელი ვალდებულება მათ შორის **კრედიტის თანხის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავანსის** ან/და **მასთან დაკავშირებულ გადასახდელებს** დავალიანება;

8.2.4. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

8.2.5. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. **ხელშეკრულების** სრულად შეწყვეტის შემთხვევაში:

8.3.1. **მსესხებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობებით, სრულად დაფაროს **ბანკის** წინაშე არსებული ნებისმიერი დავალიანება, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის/საგანგებო ავანსის/ოვერდრაფტის** ან/და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები;

8.3.2. **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის/საგანგებო ავანსის/ოვერდრაფტის** ან/და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები) დაფაროს **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილი კრედიტის თანხებიდან. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც **ბანკი** მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტი და **ხელშეკრულების** სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეული იქნება, როგორც ცვლილება შესაბამის უზრუნველყოფილი კრედიტის ხელშეკრულება(ებ)ში და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **ხელშეკრულების** საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის/საგანგებო ავანსის/ოვერდრაფტის** ან/და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები) სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი კრედიტის მეშვეობით;

8.3.3. **ბანკი** უფლებამოსილია დაიწყოს იძულებითი აღსრულების მიქცევა უზრუნველყოფის საგანზე (ასეთის არსებობისას). იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგანზე (ასეთის არსებობისას) არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დაფარვისათვის (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის/საგანგებო ავანსის/ოვერდრაფტის** ან/და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხების გადახდისათვის), **მსესხებელს** დაეკისრება პასუხისმგებლობა დარჩენილი დავალიანების ნაშთზე. იგივე პირობა ვრცელდება იმ ხარჯებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას **ბანკის** მიერ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციის პროცესში;

8.3.4. **ბანკი** თავისუფლდება **მსესხებლის** წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისაგან.

8.4. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მსესხებელს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

8.5. თუ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

8.6. თუ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

9.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება **ხელშეკრულების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მშობლიური სახელმწიფოს საფუძველზე.

9.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** იურიდიული მისამართის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

10. ბანკში პრეტენზიის წადგენის წესი

10.1. **მსესხებელი** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალის ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: pretenzia@libertybank.ge **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

10.2. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.

10.3. **მსესხებელს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ-გვერდის www.libertybank.ge საშუალებით.

11. კომუნიკაცია

11.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტ-ბანკის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

11.1.1. **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

11.1.2. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მსესხებლისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **მსესხებლის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

11.1.3. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მსესხებლის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (აღრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

11.1.4. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტ-ბანკის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

11.2. იმ შემთხვევაში თუ **მსესხებელი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

12. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

12.1. **ინფორმაციის დამუშავება. კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის შედეგად **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაციის** (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება. მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ შერეობას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას,

გამოთხოვას, გამოეყენება ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახადომის გზით, დაჯგუფებას ან კომპინაჟს, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

12.2. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიემის ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

12.3. **ინფორმაციის გადაცემა/გამოთხოვა. კლიენტი ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

12.3.1. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მომსახურების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო, მაკონტროლებელ/სახელმძღვანელო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს) გადასცეს ან/და **მესამე პირებისაგან** მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

12.3.2. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მომსახურების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო, მაკონტროლებელ/სახელმძღვანელო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს) გადასცეს ან/და **მესამე პირებისაგან** მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

12.3.3. **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია ბანკის** შვილობილ, აფილირებულ ან სხვა ნებისმიერ **მესამე პირებს** მათ მიერ სხვადასხვა მომსახურების შემთავაზებების მიზნით.

12.3.4. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტთან (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740, შემდგომში - **კრედიტინფო**), შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში **კრედიტინფოს** მიაწოდოს ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, **კლიენტის** მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

12.3.5. მისცეს თანხმობა **კრედიტინფოს**, რომ **ბანკის** მიერ **კრედიტინფოსთვის** მიწოდებული **კლიენტების** მონაცემები **კრედიტინფომ** გადასცეს **მესამე პირებს**, იმ პირობით, რომ **ბანკის** მიერ მიწოდებული **კლიენტის** მონაცემების მიწოდება მოხდება იმ **პირებისთვის**, რომლებიც თავადაც აწვდიან **კრედიტინფოს** აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება **კრედიტინფოსთან**;

12.3.6. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს **კრედიტინფოს** მონაცემთა ბაზაში არსებული **კლიენტის** მონაცემები.

12.4. **პირდაპირი მარკეტინგა. კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკმა** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა, მანამ სანამ **ბანკი კლიენტისგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას. ამასთან, ყოველგვარი ქვეის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება ან სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (**ბანკის** ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი და სხვა).

12.5. **საავტორო უფლებები. კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციაზე და სხვა ელექტრონულ არხებში თანავსებული **კლიენტის** მონაცემები (ზექცდებით, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

12.6. **მონაცემების განახლება და შენახვის ვადა. ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**. ამასთან, იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი,

მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

12.7. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის **კლიენტს** მის შესახებ **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე **ბანკს** ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.

12.8. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. **მსესხებელი** ვალდებულია დაიცვას საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის წვდომის კოდების) კონფიდენციალურობა. **მსესხებელი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** მობილური ტელეფონის ან/და მისი (მობილური ტელეფონის) ნომრის დაკარგვის, **მსესხებლის** მიერ ტელეფონის ნომრის მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, სხვისთვის გადაცემის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **მსესხებლისთვის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

13.2. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **მსესხებლის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებული **მობილური ტელეფონის** ნომრის შეცვლის, გასხვისების, **მობილური ტელეფონის** ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

13.3. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები (მათ შორის და არამარტო **ხელშეკრულების #1 დანართით** განსაზღვრული ტარიფები, **კრედიტის**, **საგანგებო ავანსის** ან/და **ოვერდრაფტის** მოცულობა და სხვა) იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და **კანონმდებლობასთან**.

13.4. **მსესხებლის** მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია **ხელშეკრულებით** დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი არ ემთხვევა **საბანკო დღეს**, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღისა**.

13.5. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბაილიად ცნობის/მაღადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნდება იურიდიულ ძალას.

13.6. **მსესხებელი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებს)** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

13.7. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამოსილებებზე.

13.8. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

13.9. **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

13.10. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებელია, ხოლო გამოქმეული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მიხედვით ადქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

13.11. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **სტანდარტული პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: <http://www.libertybank.ge>. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის

სტანდარტულ პირობებს უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **სტანდარტულ პირობებთან** მიმართებაში.

**ელექტრონული არხების საშუალებით მიღებული
კრედიტის / ოვერდრაფტის / საგანგებო ავანსის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების
#1 დანართი – მომსახურების საკომისიოები**

1. სწრაფი სამომხმარებლო კრედიტი „ლიბერთი ექსპრესი“	
კრედიტის მოცულობა და ვალუტა	<ul style="list-style-type: none"> • მობილური ტელეფონით გააქტიურების შემთხვევაში: 300 ლარი • სხვა არხებით გააქტიურების შემთხვევაში: 100, 150, 200, 250 ან 300 ლარი
კრედიტის მოქმედების ვადა	30 (ოცდაათი) კალენდარული დღე
კრედიტის დამტკიცების საკომისიო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
კრედიტის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო (კრედიტის მიზნით 1 თვე წარმოადგენს 30 კალენდარულ დღეს)	<ul style="list-style-type: none"> • მობილური ტელეფონით გააქტიურების შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> ◦ 300 ლარიან კრედიტზე – 35.00 ლარი • სხვა არხებით გააქტიურების შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> ◦ 100 ლარიან კრედიტზე – 10.00 ლარი ◦ 150 ლარიან კრედიტზე – 15.00 ლარი ◦ 200 ლარიან კრედიტზე – 20.00 ლარი ◦ 250 ლარიან კრედიტზე – 25.00 ლარი ◦ 300 ლარიან კრედიტზე – 30.00 ლარი
კრედიტის პროლონგირების საკომისიო	<ul style="list-style-type: none"> • 100 ლარიან კრედიტზე – 10.00 ლარი • 150 ლარიან კრედიტზე – 15.00 ლარი • 200 ლარიან კრედიტზე – 20.00 ლარი • 250 ლარიან კრედიტზე – 25.00 ლარი • 300 ლარიან კრედიტზე – 30.00 ლარი
კრედიტის პროლონგირების დასაშვები რაოდენობა	შეუზღუდავი
კრედიტის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო	10.00 ლარი
არსებული კრედიტის ახალი კრედიტით გადაფარვის (რეფინანსირების) საკომისიო	<ul style="list-style-type: none"> • 100 ლარიან კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში – 10.00 ლარი • 150 ლარიან კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში – 15.00 ლარი • 200 ლარიან კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში – 20.00 ლარი • 250 და 300 ლარიან კრედიტზე რეფინანსირება არ ვრცელდება
კრედიტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო	<ul style="list-style-type: none"> • 100 ლარიან კრედიტზე – 1.00 ლარი • 150 ლარიან კრედიტზე – 1.50 ლარი • 200 ლარიან კრედიტზე – 2.00 ლარი • 250 ლარიან კრედიტზე – 2.50 ლარი • 300 ლარიან კრედიტზე – 2.50 ლარი
კრედიტის დეფოლტში გასვლის ვადა	კრედიტის უწყვეტად ვადაგადაცილებაში ყოფნის პერიოდის მე-60 (სამოცი) დღე
კრედიტის დეფოლტის ერთჯერადი პირგასამტეხლო	100 ლარი
კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
2. ოვერდრაფტი	
ოვერდრაფტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	ინდივიდუალურად
ოვერდრაფტის გააქტიურების/დამტკიცების საკომისიო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
ოვერდრაფტის მომსახურების საკომისიო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
ოვერდრაფტის ხელახალი გააქტიურების საკომისიო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
ოვერდრაფტის ვადაგადაცილების ერთჯერადი/ყოველდღიური პირგასამტეხლო	გათვალისწინებული არ არის / 0.00
3. საგანგებო ავანსი	
საგანგებო ავანსის ვალუტა	ლარი
საგანგებო ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო	თუ მსესხებელს არ უსარგებლია საგანგებო ავანსით ზოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში - გამონაკლის შემთხვევაში ბანკმა შესაძლებელია შესთავაზოს მსესხებელს საგანგებო ავანსით სარგებლობა გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს გადახდის გარეშე სხვა შემთხვევაში - საგანგებო ავანსის მოცულობის 5.00% დამრგვალებული მეტობით უახლოეს მთელ რიცხვამდე, მინიმუმ 5.00 ლარი ¹
საშელავათო პერიოდი	საგანგებო ავანსის გააქტიურებიდან 10 (ათი) ან 20 (ოცი) კალენდარული დღე ²
საპროცენტო განაკვეთი	წლიური 32.00% საგანგებო ავანსის მოქმედების თითოეულ დღეზე (დარიცხვა იწყება საშელავათო პერიოდის გასვლისთანავე)

¹ ბანკის შეხედულებისამებრ შესაძლებელია, რომ განხორციელდეს სტანდარტულსაგან განსხვავებული საგანგებო ავანსის გააქტიურების საკომისიოს დარიცხვა ინდივიდუალურად ყოველი მსესხებლისათვის – გააქტიურების ზუსტი საკომისიო აისახება ბანკომატის ეკრანზე საგანგებო ავანსის გააქტიურებისას.

² საშელავათო პერიოდის განსაზღვრა ხორციელდება ბანკის მიერ საგანგებო ავანსის ყოველი გააქტიურებისას – საშელავათო პერიოდის ზუსტი ვადა აისახება ბანკომატის ეკრანზე საგანგებო ავანსის გააქტიურებისას.